პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვალერი ჩიქოვანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ერთ ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვალერი ჩიქოვანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1 : 281

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

28 / ოქტომბერი / 2025 წ.

KA011719368760025

№ **244301**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ბატონო ლევან,

2025 წლის 17 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის №14-01252601024 (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 242912/17) მომართვა. დანართში წარმოდგენილი მოქალაქე ნინო ყამარაულის (პ/ნ: 01024068559) განცხადების საფუძველზე საკადასტრო კოდისთვის 01.18.13.028.005 და მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის სამისამართე აბრების გაკვრის მიზნით მოთხოვნილია სიტუაციური რუკა ქალაქ თბილისში, ვაზგლის ქუჩაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის მითითებით.

გაცნობებთ, რომ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით 01.18.13.028.005) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

აფხაზეთის მეომართა კავშირი
The Union of Warriors of Abkhazia

0102, საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24; ტ.: +995 854248 E-mail: contact@amk.ge
0102, Georgia, Tbilisi, D. Agmashenebeli av. 89/24; Phone: +995 854248 E-mail: contact@amk.ge

№ 01/20

05 12 2025 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

აფხაზეთის მეომართა კავშირი მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისის ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის გენო ადამიას თანამებრძოლების — კონსტანტინე ლეთოდიანის და ზურაბ ჩიქოვანის სახელები.

აღნიშნული პიროვნებები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. კონსტანტინე ლეთოდიანი და ზურაბ ჩიქოვანი გმირულად დაიღუპნენ გენერალ გენო ადამიას გვერდით, ბრძოლის ველზე, რაც მათ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ისინი წარმოადგენენ ღირსების, თავდადებისა და მოქალაქეობრივი სიმამაცის გამორჩეულ მაგალითს. მათი სახელების უკვდავყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება როგორც ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების, ისე მომავალი თაობებისთვის გმირობისა და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების თვალსაზრისით.

ვინაიდან თბილისში არაერთი ქუჩაა, რომლის სახელდებაზე შესაძლებელია შესაბამისი განხილვის დაწყება, გთხოვთ, თბილისის საკრებულოში დაიწყოთ პროცედურები **კონსტანტინე ლეთოდიანისა** და **ზურაბ ჩიქოვანის** სახელების მინიჭების საკითხის შესწავლისა და მხარდაჭერის მიზნით.

წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისა და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ა. მარგიანი

აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე

UNION * აფხაზეთის მეომართა კავშირი * SOLDIERS OF ABKHAZIA 49251492

ლ. ქეცბაია

აფხაზეთის მეომართა კავშირის
მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032534518**
თარიღი: **11/12/2025**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური

სამსახურის დირექტორს
ბატონ კობა კობალაძეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს აფხაზეთის მეომართა კავშირის 2025 წლის 8 დეკემბრის საქმეს N10/032534238-03, რომლითაც ითხოვენ თბილისის ქუჩებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის სახელის მინიჭებას.

მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის საბრძოლო მოკვლევა, ჯილდოების მინიჭების დოკუმენტი და ასევე დააფიქსიროთ თქვენი სამსახურის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისა და დადებითი პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, კომისია მზად არის იმსჯელოს აფხაზეთის მეომართა კავშირის მიერ მოთხოვნილ საკითხზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00042144

ელექტრონული
შეტყობინება
ელექტრონულად

16/12/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 11 დეკემბერს შემოსული №41671 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება კონსტანტინე ლეთოდიანისა და ზურაბ ჩიქოვანის სახელის მინიჭებას ქ. თბილისის ქუჩებისათვის, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაცულია დოკუმენტაცია კონსტანტინე გრიგოლის ძე ლეთოდიანის შესახებ, რომელიც გმირულად დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს საომარი მოქმედებების დროს. იგი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით და მიღებული აქვს მედალი ,,მხედრული მამაცობისთვის''.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ზურაბ ჩიქოვანის თაობაზე ინფორმაცია არ იძებნება. გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციას ვალერი გიორგის ძე ჩიქოვანის შესახებ, რომელიც გმირულად დაიღუპა საომარი მოქმედებების დროს 1993 წლის 27 სექტემბერს და დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

გიგზავნით ზემოხსენებულ დოკუმენტაციას და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ემხრობა ინიციატივას კონსტანტინე გრიგოლის ძე ლეთოდიანისა და ვალერი გიორგის ძე ჩიქოვანის სახელების ქ. თბილისის ქუჩებისთვის მინიჭების შესახებ.

დანართი: 18 (თვრამეტი) ფურცელი

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

ვ. ჩიქოვანი

ს ა ბ რ ძ ო ლ ო მ ო კ ვ ლ ე ვ ა

ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძე
დაბადებული 1955 წლის 4 აგვისტოს,.
ქართველი, განათლება უმაღლესი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის ყოფილი მოადგილე შეიარაღების საკითხებში ვიცე-პოლკოვნიკი როინ ჯანაშია, ბრიგადის მეთაურის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის საკითხებში ვიცე-პოლკოვნიკი დავით ცირამუა, ბრიგადის კადრების განყოფილების ყოფილი უფროსი მაიორი თეიმურაზ ჭახრაკია ვადასტურებთ, რომ ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძე აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებიდან ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.1992 წლის 21 სექტემბრიდან ის მსახურობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის (შემდგომში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის საავტომობილო ინსპექციის ინსპექტორად (ბრძანება № 90 10 დეკემბერი 1992 წ.)

საომარი მოქმედებების დროს ვ. ჩიქოვანმა თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინირებულმა, ორგანიზებულმა სამხედრო მოსამსახურემ. ფრონტის ხაზზე შექმნილი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ვ. ჩიქოვანს არაერთხელ მოუწია გასვლა ბატალიონებისა და ასეულების საბრძოლო პოზიციებზე. უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 1993 წლის 15-16 მარტს ქ. სოხუმის დაცვისა და ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. ვ. ჩიქოვანი პირნათლად ასრულებდა ბრიგადის ხელმძღვანელობის დავალებებს და თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ვ. ჩიქოვანი გმირულად დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს 1993 წლის 27 სექტემბერს (გარდაცვალების მოწმობა ალ № 346256). საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 14 აგვისტოს № 489 ბრძანებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

23-ე მოტომსროლელი ბრიგადის
მეთაურის ყოფილი მოადგილე
შეიარაღების საკითხებში
ვიცე-პოლკოვნიკი

რ. ჯანაშია 62001003 3

23-ე მოტომსროლელი ბრიგადის
მეთაურის ყოფილი მოადგილე
პირად შემადგენლობასთან
მუშაობის საკითხებში
ვიცე - პოლკოვნიკი

დ. ცირამუა 62003007 4.

23-ე მოტომსროლელი ბრიგადის
კადრების განყოფილების ყოფილი უფროსი-
შტაბის უფროსის მოადგილე
მაიორი

თ. ჭახრაკია 62001016179

ორიათას ცამეტი წლის ოთხი ოქტომბერი. მე, ზაალ ბათუაშვილს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი დ/მ გ. რობაქიძის ქ.№7 მომმართეს **როინ ჯანაშიამ, დავით ცირამუამ და თეიმურაზ ჭახრაკიამ** მათ წარმოადგინეს ერთ ეგზემპლიარად შედგენილი საბრძოლო მოკვლევა და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.მე მათ განვუმარტე რომ საბრძოლო მოკვლევის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე ნოტარიუსი ზაალ ბათუაშვილი არ ვიღებ პასუხისმგებლობას. მე, შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **როინ ჯანაშიამ** **დაბადებული 25.12.1946წ. ზუგდიდში, რეგისტრირებული მისამართზე: სოხუმი კ. მარქსის ქ. №15 პირადი № 62001003303 ბარათის № 13IA58569 გაც: იუსტიციის სამინისტროს მიერ 23.06.2013წ.** , **დავით ცირამუამ** **დაბადებული 02.01.1959წ. სოხუმში, რეგისტრირებული მისამართზე: სოხუმი ს. ბესლეთი პირადი № 62003007427 ბარათის № 13IA36039 გაც: იუსტიციის სამინისტროს მიერ 09.06.2013წ.** **და** **თეიმურაზ ჭახრაკიამ** **დაბადებული 22.11.1948წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: სოხუმი აგრბას ქ. №2 ბინა 58 პირადი № 62001016179 № თ 0456635 გაც: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სოხუმის სამსახურის მიერ 02.10.2008წ.** <u>**მომმართეს**</u> მე, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.მე, დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, რასაც ვადასტურებ..

გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 29.12.2011წ. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31, ექვსი (6)ლარი +ერს ორი (2) ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ მუხლი 39 3.1) სულ რვა (8) ლარი.

ნოტარიუსი ზაალ ბათუაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131049612
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.10.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ზაალ ბათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დიღმის მასივი გრ. რობაქიძის №7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 (32) 2 51-84-83
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49169508531613

ამონაწერი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ბრძანება № 397

1993 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების 1992 წლის 13 ოქტომბრის დროებითი დებულების თანახმად მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის ქვემოთ ჩამოთვლილ ოფიცრებს მიენიჭოს მორიგი სამხედრო წოდება

„კაპიტანი“

31. ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძეს - 23-ე მექანიზირებული ბრიგადის სამხედრო საავტომობილო ინსპექციის ავტოინსპექტორს.

დაბადებული 1955 წლის 4 აგვისტოს ეროვნებით ქართველი, განათლება – საშუალო-ტექნიკური.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი –
თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
გენერალ-პოლკოვნიკი ა. კამკამიძე

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალების შტაბის უფროსი –
სარდლის პირველი მოადგილე
გენერალ-მაიორი დ. მაისურაძე

ამონაწერი სწორია
პოლკოვნიკი მ.ჩოფლიანი

ამონაწერი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მეთაურის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6

1 ოქტომბერი 1992 წელი ქ. სოხუმი

ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის დაცვის ასეულის პირადი შემადგენლობის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

დ ა ი ნ ი შ ნ ო ნ :

1 ოქტომბერი 1992 წელი

დაცვის ასეულის მესამე ოცეული

60. რიგითი - ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძე.

საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი რ. გახოკიძე

ამონაწერი სწორია
პოლკოვნიკი მ. ჩოფლიანი

საქართველო

გარდაცვალების მოწმობა

სახელი: ვალერი

გვარი: ჩიქოვანი

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

პირადი ნომერი:

გარდაცვალების თარიღი: 27 სექტემბერი 1993 წ. (ათას ცხრაასოთხმოცდაცამეტი წლის ოცდაშვიდი სექტემბერი)

გარდაცვალების ადგილი: საქართველო, სოხუმი,

გარდაცვალების მიზეზი: მტრის ნასროლი ტყვიით მანქანაში მაცხოვრებული

განმეორებითი

გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი: 29 დეკემბერი 1998 წ. (ათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი წლის ოცდაცხრა დეკემბერი)

საარქივო ჩანაწერის № 80

ადგილი: თბილისი, ქ. სოხუმის სარ განყოფილება

მოწმობის გაცემის თარიღი: 27 ნოემბერი 2008 წ.

მოწმობის გამცემი ორგანო: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამოქალაქო აქტების ცენტრალური არქივი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ალ № 346256

ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის
ორდენი



00699

ვალერი
ჩიქოვანი

საქართველოს პრეზიდენტის
1998 წ. 14 აგვისტოს № 489
ბრძანებულებით დაჯილდოვდა

ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის
ორდენით

№ 00880

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს
შეიარაღებული ძალების
გაერთიანებული შტაბის
J-1 პირადი შემადგენლობის
დეპარტამენტი

GEORGIAN
A.F. (ARMED FORCES)
JOINT STAFF
J-1 PERSONNEL
DEPARTMENT

0112 ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. 20

20, G. Kvinitadze Str., 0112 Tbilisi, Georgia

№ 3/4 -14656

„02" 10 2013 წ.

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის
უფროსს
ბატონ გ. დოლიძეს

<u>თქვენს 2013 წლის 20 სექტემბრის №2171/18 წერილზე</u>

გეგზავნებათ, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში არსებული ბრძანების ამონაწერი და ბრძანების ქსეროასლის ქსეროასლი ვალერი გიორგის ძე ჩიქოვანის შესახებ.

დანართი:3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

ადმინისტრაციული სამმართველოს
უფროსი

თენგიზ წერეთელი

02 10 2013
N 2086 11

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული
გვარდიის მე-3 ბრიგადის მეთაურის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 6

1 ოქტომბერი 1992 წ. ქ.სოხუმი

ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის დაცვის ასეულის
პირადი შემადგენლობის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

დ ა ნ ი შ ნ ო

1 ოქტომბერი 1992 წ.

1. ასეულის მეთაური – კიკალეიშვილი ავთანდილი აკაკის ძე
2. ასეულის ზემდეგი – ადამია ვალერი ილიას ძე
3. პირველი ოც. მეთაური – ნაჭყებია აქვსენტი ალექსანდრეს ძე
4. პირველი ოც.პირველი ათმეთაური – კვარაცხელია ავთანდილი ბაკის ძე
5. პირველი ოცეულის რიგითი – ქვილითაია გიორგი შოთას ძე
6. – " – – ხაინდრავა პაატა ზაურის ძე
7. – " – – ლამხია იოსები ოთარის ძე
8. –"– – წოწონავა გიორგი ბონდოს ძე
9. –"– – ტყებუჩავა ლევანი ავთანდილის ძე
10. –"– – თაყაიშვილი ზურაბი ალექსის ძე
11. პირველი ოცეულის მეორე ათმეთაური – ცხვიტავა ჯემალი ნოდარის ძე
12. რიგითი – სახოკია ლევანი პაღმირის ძე
13. –"– – მიქავა ზაზა კარლოს ძე
14. –"– – ფიფია თენგიზი ივანეს ძე
15. –"– – ზოდელავა მაღხაზი ომარის ძე
16. –"– – ჩხაპელია ჯამბულადი ვლადიმერის ძე
17. –"– – ჩხაპელია ვახტანგი ვლადიმერის ძე
18. პირველი ოცეულის მესამე ათმეთაური – კევლიშვილი ვალერიანი სოსოს ძე
19. რიგითი – სიმონია გიორგი გურამის ძე
20. –"– – შარაშენიძე მერაბი მიხეილის ძე

ბრძანებულია

27/10/13

55. მესამე ოცეულის მეორე ათმეფაური + კვარაცხელია ა. ა.
56. რიგიფი + კმკვლია კახა ზაურის ძე
57. -"- - აბულაძე ვახტანგი ვახტანგის ძე
58. -"- - ხვიტია გოჩა ნუგზარის ძე
59. -"- - წიკვწიკვაძე ოფარი ილიას ძე
60. -"- - ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძე
61. -"- - ლეთლიანი კოტე გრიგორის ძე
62. მესამე ოცეულის მესამე ათმეფაური - გვილესიანი დიმიტრი როსტომის ძე
63. რიგიფი - კვანტალიანი ფეიმურაზი დავიფის ძე
64. -"- + მეტრეველი ზურაბი ქიშვარდის ძე
65. -"- + გვაზავა ჯამბული ბორისის ძე
66. -"- - ჯიმშელეიშვილი მერაბი რევაზის ძე
67. -"- - ტყემბურავა მურმანი ხუტას ძე
68. -"- - მაისურაძე მაშუკა დეონის ძე

საქართველოს ეროვნული გვარდიის
მე-3 გრიგალის ბრიგადის

პოლკოვნიკი



ამონაწერი:

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ბრძანება №397

1993 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების 1992 წლის 13 ოქტომბრის დროებითი დებულების თანახმად მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის ქვემოთ ჩამოთვლილ ოფიცრებს მიენიჭოს მორიგიო სამხედრო წოდება:

„უფროსი ლეიტენანტი“

31. **ჩიქოვანი ვალერი გიორგის ძეს** – 23-ე მექანიზირებული ბრიგადის სამხედრო საავტომობილო ინსპექციის ავტოინსპექტორს.

დაბადებული -1955 წლის 4 აგვისტოს,
ეროვნებით ქართველი
განათლება – საშუალო-ტექნიკური

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალების შტაბის უფროსი, სარდლის პირველი მოადგილე
გენერალ-მაიორი

დ. მაისურაძე

ამონაწერი სწორია
ს/პირი

დ. ჯიქია

ვალერი ჩიქოვანი

(1955-1993)

აფხაზეთის ომში დალუპული მებრძოლი, უფროსი ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა სოხუმში 1955 წლის 4 აგვისტოს. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში. 1992 წლის 21 სექტემბრიდან ის მსახურობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის. შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის საავტომობილო ინსპექციის ინსპექტორად. 1992 წლის 13 ოქტომბრის დროებითი დებულების თანახმად მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება.

საომარი მოქმედებების დროს ვალერი ჩიქოვანმა თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინირებულმა, ორგანიზებულმა სამხედრო მოსამსახურემ. ფრონტის ხაზზე შექმნილი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე ვალერი ჩიქოვანს არაერთხელ მოუწია ვასვლა ბატალიონების და ასეულების საბრძოლო პოზიციებზე. უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 1993 წლის 15-16 მარტს ქ. სოხუმის დაცვისა და ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. ვ. ჩიქოვანი პირნათლად ასრულებდა ბრიგადის ხელმძღვანელობის დავალებებს და თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ვალერი ჩიქოვანი გმირულად დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს 1993 წლის 27 სექტემბერს. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.